ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება №200/01-01, 11.11.2014წ.
დანართი №1

2014-2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ტარტუს უნივერსიტეტის ევროპული კოლეჯის მიერ გამოყოფილი სამაგისტრო სტიპენდიების და ტარტუს, ვილნიუსისა და ბრატისლავას კომენიუსის უნივერსიტეტების მიერ გამოყოფილი საბაკალავრო სტიპენდიების მიმღებთა შესარჩევი კონკურსის ჩატარებისა და კანდიდატთა შეჩევის წესი

1. კონკურსის მიზანი
კონკურსის მიზანია თსუ-სა და ტარტუს უნივერსიტეტის ევროპულ კოლეჯთან თანამშრომლობის პროექტის « ტარტუს უნივერსიტეტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლობა ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკისა და მმართველობის » ფარგლებში, 2014-2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის გამოყოფილი ერთსემესტრიანი სტიპენდიების მოსაპოვებლად, კონკურსში მონაწილე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოცილურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა, ეკონომიკისა და ბიზნესის, იურიდიული და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურის პირველი სემესტრის სტუდენტების და ტარტუს, ვილნიუსისა და ბრატისლავას კომენიუსის უნივერსიტეტების მიერ გამოყოფილი ბაკალავრიატის მე-3, მე-4, მე-5 სემესტრის კანდიდატთა შორის სტიპენდიანტების შერჩევა.

2. კანდიდატი
კონკურსზე დაიშვებიან თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა, ეკონომიკისა და ბიზნესის, იურიდიული და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურის პირველი სემესტრის სტუდენტები, რომლებიც ფლობენ ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისო სერთიფიკატებს (TOEFL (minimum score of 76 IBT) ან Academic IELTS (minimum score of 6), აღნიშნული ფაკულტეტების სტუდენტები, რომლებმაც მაგისტრატურის მისაღებ გამოცდაზე გაიარეს ინგლისურენოვანი ინსტიტუციური ტესტირება (B2 დონის ტესტი) და მიიღეს არანაკლებ 81 ქულა და სტუდენტები, რომლებმაც დაწერეს თსუ საგამოცდო ცენტრის მიერ ორგანიზებული ინგლისური ენის ინსტიტუციური ტესტი (B2 დონის ტესტი) და მიიღეს არანაკლებ 81 ქულა. ასევე, კონკურსზე დაიშვებიან თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა, ეკონომიკისა და ბიზნესის, იურიდიული და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები, რომლებმაც დაწერეს თსუ საგამოცდო ცენტრის მიერ ორგანიზებული ინგლისური ენის ინსტიტუციური ტესტი (B2 დონის ტესტი) და მიიღეს არანაკლებ 81 ქულა.

3. სტიპენდიანტის შერჩევა

ა) სტიპენდიანტთა შერჩევა ხორციელდება შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით:

1. მოტივაციის წერილი
2. ზეპირი პრეზენტაცია (ინგლისურ ენაზე)
3. აკადემიური მოსწრების საერთო საშუალო ქულა (GPA).

ბ) კონკურსში მონაწილე სტუდენტების მიერ წარმოდგენილი ინგლისური ენის კომპეტენციის დამადასტურებელი სერთიფიკატი/ცნობა სტიპენდიანტთა შერჩევისას არ გამოიყენება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კანდიდატთა საბოლოო საკონკურსო შეფასება თანაბარია.

4. კომისიის შეფასება

ა) კომისია ახორციელებს კანდიდატის მოტივაციის წერილისა და ზეპირი პრეზენტაციის შეფასებას.

ბ) კანდიდატის მოტივაციის წერილისა და ზეპირი პრეზენტაციის შეფასება ხორციელდება არაუმეტეს 10 ქულით შემდეგი თანაფარდობით:

ბრწყინვალე -	10 ქულა
ძალიან კარგი -	9 ქულა
კარგი -	8 ქულა
დამაკმაყოფილებელი -	7 ქულა
საკმარისი -	6 ქულა
არადამაკმაყოფილებელი -	5 ქულა და ნაკლები

გ) თუ კანდიდატის მოტივაციის წერილი ან ზეპირი პრეზენტაცია შეფასებულ იქნება არადამაკმაყოფილებლად (5 ქულა და ნაკლები), მისი კანდიდატურა იხსნება შესარჩევი კონკურსიდან.

5. გამარჯვებულის გამოვლენა

გამარჯვებულის გამოვლენა ხდება კომისიის მიერ ზემოაღნიშნულ შეფასების კრიტერიუმებზე დაყრდნობით სტიპენდიატთა შერჩევის გზით.